ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1606613

ნომერი: AR1266524

თარიღი : 18.11.2014

გაცემის თარიღი : 21.11.2014

გაცნობის თარიღი : 21.11.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 78 ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ მერკვილაძე პ/ნ 61002010609
- თბილისი საირმის ქ. კორ. 11 ბ. 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნის ტექსტში აფიქსირებთ, რომ ხდება არსებულ ტერასაზე დროებითი (საძირკვლის არ მქონე) ნაგებობის განთავსება, აღნიშნული მაინც ვერ განიხილება, როგორც ცალკე მდგომი I კლასის ნაგებობად, რადგან მისი მოწყობა ხორციელდება არსებული შენობა/ნაგებობის სახურავზე, გამომდინარე აქედან აღნიშნული ცდება I კლასის მახასიათებლებს და მიეკუთვნება ისეთი კლასის რეკონსტრუქციას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პირველ რიგში "ელექტრონულ განაცხადებში" უნდა აირჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა: "მშენებლობის ნებართვა" - "საცხოვრებელი ობიექტები" და ა. შ. და მოცემული ველები შეავსოთ შესაბამისად.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან შენობა მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით, სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო ობიექტის განთავსება, როგორც ფუნქციური, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით არ მიაჩნია შესაძლებლად.

ასევე გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიამდე, შესაძლებელია თქვენი მოთხოვნა დააყენოთ სამსახურის წინაშე ესკიზის წინასწარი შეთანხმებაის თაობაზე და აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურა – მშენებლობის ნებართვა– საცხოვრებელი ობიექტები –მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი–ქმედებაში–მიუთითოთ რეკონსტრუქცია , ხოლო სტადიებში მიუთითოთ– „ესკიზის წინასწარი შეთანხმება“ და წარმოსადგენი დოკუმენტაციის სიის მიხედვით შეავსოთ მოცემული ველები, რის შემდგომაც სამსახურის მიერ საკითხის დადებითად შეფასების შემთხვევაში თქვენი საკითხის დაყენება შესაძლებელი იქნება პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის კუთხით.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

აღნიშნულის შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ №1394936 გადაწყვეტილებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.